პირდაპირი დამატება ნაცვალსახელი

Pronom complément d'objet direct

ვიცით, რომ უცხოური ენის სწავლებისას გრამატიკის შესწავლა გარდაუვალი და აუცილებელი ნაწილია. წინამდებარე რესურსის მიზანია გრამატიკული ელემენტის - პირდაპირი დამატება ნაცვალსახელის სახალისოდ სწავლება. მისი გამოყენება შესაძლებელია როგორც დამოუკიდებლად, ასევე დამატებით რესურსად ფრანგული ენის სახელმძღვანელოსთან (Amis et compagnie 2, unité 6 leçon 3).

აქტივობის მსვლელობა:

1. **გამოწვევის ფაზა:**

დაკვირვება / **Phase de découverte : Observation**

მიზანი : პირდაპირი დამატების ამოცნობა - Amener les apprenants à identifier les COD dans des phrases sans les nommer directement au départ.

აქტივობა **:** დაკვირვება და რეფლექსია / **Observation et réflexion**

- წარმოადგინეთ თვალსაჩინო მაგალითი Présentez plusieurs phrases avec des COD sous forme d'images ou de dialogues simples. (ნახატს ფრაზით: მარი ჭამს ვაშლს / Marie mange une pomme, პოლი უყურებს ფილმს/ Paul regarde un film).

Marie mange une pomme

Paul regarde un film

განათლების E სახლი

დასვით შეკითხვები:

- Qui fait l'action ? → Marie.
- Que fait-elle ? → Elle mange.
- Qu'est-ce qu'elle mange ? → Une pomme.

ანალიზი: აუხსენით მოსწავლეებს, რომ ვაშლი არის პირდაპირი დამატება, და მას ფრანგულად un complément d'objet direct (COD) ეწოდება.

მაგალითს მსგავსად შექმენით რამდენიმე წინადადება : პოლი კითხულობს წიგნს, მარი ჭამს ნაყინს.

Paul lit le livre

Marie mange une glace

2. ფაზა : ნაცვალსახელის გაანალიზება / Introduction des pronoms COD

მიზანი: პირდაპირი დამატების შეცვლა ნაცვალსახელით და მისი ადგილი წინადადებაში / Amener les apprenants à comprendre comment le COD peut être remplacé par un pronom.

აქტივობა : წინადადებების გარდაქმნა / **Transformation de phrases**

➢ დაწერეთ დაფაზე წინადადება Marie mange une pomme, შემდეგ ქვემოთ დაუწერეთ წინადადება : Marie **la** mange. ასევე Paul regarde un film, შემდეგ ქვემოთ დაუწერეთ წინადადება Paul **le** regarde:

ანალიზი : სთხოვეთ მოსწავლეებს გაანალიზონ ეს ფრაზები : რამ შეცვალა პირდაპირი დამატება ? (პასუხი : **la, le**) **.** რის მიხედვით შეიცვალნენ ? (პასუხი : სქესის მიხედვით : **la** მდედრობით, **le** მამრობითი). სად არის მისი (პირდაპირი დამატება ნაცვალსახელის)

ადგილი ? (პასუხი : სუბიექტი პირდაპირი დამატება ნაცვალსახელი ზმნა - sujet pronom cod verbe).

სთხოვეთ მოსწავლეებს ანალოგიური მაგალითით გააკეთონ შემდეგი წინადადებები: Paul lit le livre. Marie mange une glace.

შეაჯამეთ წესი:

le/la/les - მამრობითი/ მდედრობითი/ მრავლობითი
ადგილი - სუბიექტი <u>პირდაპირი დამატება ნაცვალსახელი</u> ზმნა - sujet <u>pronom cod</u> verbe

3. პრაქტიკული - გამოყენების ფაზა / Phase de pratique active : Utilisation en contexte

მიზანი: პირდაპირი დამატება ნაცვალსახელის კონტექსტურად, პრაქტიკაში გამოყენება.

აქტივობა

- დაყავით წყვილებად და დაურიგეთ ბარათები მარტივი პირდაპირ დამატებიანი წინადადებებით (მაგალითად : **Je mange une glace, Il regarde la télé; Je mange une pomme; Tu regardes la télé; Il lit un livre; Elle boit un café ; Nous écoutons la musique ; Vous faites un gâteau ; Ils prennent le bus ; Elles adorent les chats ; Je vois mon ami ; Tu portes une veste.** თითოეული მოსწავლე სვამს შეკითხვას : რას აკეთებ? მეორე ბარათის მიხედვით პასუხობს. Tu regardes quoi ? Je regarde un film. → Je **le** regarde.
- დაურიგეთ მოსწავლეებს ბარათები სხვადასხვა სიტყვით და სთხოვეთ შეადგინონ წინადადებები პირდაპირი დამატების გამოყენებით და შემდეგ სთხოვეთ ნაცვალსახელით შეცვალონ. (მაგალითად **Personnes** : Mon ami, Marie, le professeur, les enfants, ta sœur ; **Objets** : Le livre, une pomme, un crayon, la voiture, le téléphone ; **Animaux** : Un chien, le chat, les oiseaux, un poisson ; **Idées / Concepts abstraits** : L'amour, la paix, la musique, la liberté).

Grille des pronoms

Sujet	Complément objet direct
je	me (m')
tu	te (t')
il	le (l')
elle	la (l')
nous	nous (nous)
vous	vous (vous)

ils	les
elle	les

დანართი - თვასაჩინოება (ამოსაბეჭდი)

Marie mange une pomme

Paul regarde un film

Paul lit le livre

Marie mange une glace

განათლების E სახლი